ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის მეორე პუნქტის "ი" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 7 სექტემბრის №01-3857 მინდობილობის, 2012 წლის 9 ივლისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს №45 სხდომის ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად;

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს;

3. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები დანართის თანხლებით მიაწოდოს აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს, საფინანსო სამმართველოს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს;

4. დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება და დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების საჯარო წესით გაცნობა.

ფინანსების ადმინისტრირების
მიმართულებით ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის მოადგილე — თეიმურაზ სამადაშვილი